ISSN 1512-1801

ზედა დონის სააზროვნო უნარები უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში

თეონა აბაშიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, 0179, თბილისი, საქართველო

ანოტაცია
საკითხი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლას, თუ რამდენად იძლევა სტუდენტებში დამოუკიდებელი, ანალიტიკური, შეფასების უნარ–ჩვევების განვითარებას, რაც მიჩნეულია არა მხოლოდ ინდივიდუალური წარმატების მიღწევის საშუალებად, არამედ დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის, სადაც ინდივიდებს აქვთ შემოქმედებითი აზროვნების უნარი, აქვთ თავისუფლების და პასუხისმგებლობის განცდა და შეუძლიათ სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ვითარებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება.
წინამდებარე საკითხი ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლას იმ მიზნით, თუ რამდენად ემსახურება არსებული საგანმანათლებლო სისტემა სტუდენტებში დამოუკიდებელი, ანალიტიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნებად სახელდება სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ–ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ფოკუსირდებოდეს სტუდენტებში ზედა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.
განვმარტავ, თუ რას ვგულისხმობ ზედა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევებში:
ბ.ბლუმის (1913-1999) თეორიის თანახმად, გამოყოფენ აზროვნების შემდეგ დონეებს: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურეებს ქმნიან, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთი ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება აზროვნების ქვედა დონეში მოიაზრება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი - აზროვნების ზედა დონეში. ამდენად, რასაც ბლუმი ზედა დონის აზროვნებაში ათავსებს (ანალიზი, სინთეზი და შეფასება) რთული სააზროვნო უნარებია, რომლის შემთხვევაშიც ინდივიდებს აქვთ შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შესაბამისად აქვთ თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის განცდა და შეუძლიათ სხვადასხვა გაუთვალისწინებელ ვითარებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. თანამედროვე მსოფლიოში სწორედ მსგავსი უნარ ჩვევების მქონე მოქალაქეები არიან კონკურენტუნარიანნი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზედა დონის სააზროვნო უნარები, პრაქტიკულად მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მოსაზრებების გაგებას, რაიმე შეხედულების დასაბუთებას სხვადასხვა მიდგომების საფუძველზე. რომლის

ISSN 1512-1801

დროსაც არსებითია არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და ამ მტკიცებულებების საფუძველზე მოსაზრების შეცვლა ან ახალი მოსაზრების მიღება.

შესაბამისად, იბადება კითხვა, თუ რა მეთოდებით არის შესაძლებელი სტუდენტებში ზედა დონის, შემოქმედებითი, პროდუქტიული აზროვნების მიღწევა.

სწავლისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, ადამიანს რთული შემეცნებითი უნარები უვითარდებათ აქტიური სწავლების შედეგად. ამ მიდგომის თანახმად, მოსწავლეს, სტუდენტს სწავლაში ენიჭება აქტიური, დამოუკიდებელი როლი. აქტიური სწავლების ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა დისკუსია/დებატები, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება. რომლის დროსაც სტუდენტი ლექციებიდან პასიურად არ იღებს ინფორმაციას, არამედ ფილტრავს და გააზრებულად იღებს.

საგანმანათლებლო პროცესში დისკუსიის, დებატების როლი კრიტიკული, სოციალური თეორიიდანაც ნათლად ჩანს, რომლის თანახმად, დემოკრატიის ძალად მიჩნეულია უნივერსიტეტი, სადაც მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ღია თავისუფალ და თანასწორუფლებიან დებატებში.

განათლების სპეციალისტის დევიდ პერკინსის ”თეორია ერთი” განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და შესაბამისად ეფექტურ სწავლასა და სწავლებას, ითვალისწინებს ისეთ მეთოდებს როგორიცაა დედაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული, სოციალური. დიდაქტიკური მეთოდი ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდებას დიალოგის ფორმით. მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მოსწავლეების ინფორმირება, მათი ცოდნის გამომჟღავნება, დახვეწა. ხოლო სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) შეკითხვებს. მასწავლებელი არ აწოდებს ინფორმაციას მოსწავლეებს, არამედ მათ სთხოვს აზროვნებას, რათა დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. პრაქტიკული და სოციალური მეთოდები მიზნად ისახავს ისეთი ქმედებების შესრულებას, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, ან ჩვევების ფორმირებას, ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო პროგრამები თუ რომელი სწავლების მეთოდს ანიჭებს უპირატესობას ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებისთვის.

თუნინგის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ლიტერატურაში ხაზგასმულია კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენების მნიშვნელობა სწავლისა და სწავლების პროცესში. სადაც განასხვავებენ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს. მართალია თუნინგი ადასტურებს დარგობრივი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების, როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძვლის მნიშვნელობას, მაგრამ ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დრო და ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგადი კომპეტენციების ანუ ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს უკანასკნელი კომპონენტი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სტუდენტის უკეთ მოსამზადებლად. საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, რაც დასაქმების შესაძლებლობებსა და წარმატებულ მოქალაქეობაში გამოიხატება.

ამავე კვლევაში აღნიშნულია, რომ ზოგადი კომპეტენციების სწავლება სრულად შესაძლებელია დარგობრივი საგნების ფარგლებში, თუ რა თქმა უნდა, პედაგოგს

ISSN 1512-1801

გაცნობიერებული აქვს ამის საჭიროება და სწავლების ისეთ სტრატეგიას იყენებს, რომელიც ზოგად კომპეტენციებს ითვალისწინებს.

ამდენად, წინამდებარე საკითხის მიზანი არის კვლევის საფუძველზე ვაჩვენოთ, რამდენად იძლევა არსებული საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებში ანალიტიკური, კრიტიკული, დამოუკიდებელი, შეფასების უნარების განვითარების შესაძლებლობას კონკრეტული დარგის სპეციფიკური კომპეტენციების პარალელურად. შესაბამისად, აღნიშნული მიზნით, საკითხი ფოკუსირდება პოპულარულ უნივერსიტეტებში პოპულარული საგანმანათლებლო პროგრამების განხილვაზე.

კვლევის მეთოდი

უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარობის დასადგენად გაანალიზებული იქნა 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის შედეგები, რომლის მიხედვითაც პოპულარული უნივერსიტეტების გამოვლენის მიზნით მოხდა პროცენტული გაანგარიშება, რის შედეგად აბიტურიენტთა დაახლოებით 31%-ს პირველ ვარიანტად არჩეული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 13% -ს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში მოხდა განაცხადების რაოდენობების შეფარდება ადგილების რაოდენობებთან, რომლის მიხედვითაც თსუ-ში აბიტურიენტთა მიერ პირველი არჩევანის შედეგების თანახმად მაღალრეიტინგული საგანმანათლებლო პროგრამებით სახეზე არის შემდეგი პოპულარული ფაკულტეტები:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;

ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მიერ პირველი არჩევანის შედეგების მიხედვით პოპულარული ფაკულტეტები არის:

1. ბიზნესის ფაკულტეტი;
2. სპორტის ფაკულტეტი;

წინამდებარე საკითხი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი ფაკულტეტების ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლას და დადგენას, თუ რამდენად ივალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებში ზედა დონის საზროვნო უნარ ჩვევების განვითარებას, კონკრეტული დარგის სპეციფიკური კომპეტენციების პარალელურად. მონაცემების დამუშავებისას გამოყენებული იქნა კონტენტ ანალიზი. შედეგად, პროგრამების განხილვისას ხაზგასმა მოხდა ისეთ მახასიათებლებზე, რომლებიც უშუალოდ მიუთითებს პროგრამის მთავარი მიმართულებების განსაზღვრაზე. როგორიცაა პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით) და მათი შესაბამისობა მიზანთან. ასევე სწავლება, სწავლისა და შეფასების მეთოდები, რამდენად ადეკვატურია სწავლის შედეგების, კომპეტენციების გაზომვისათვის.

ISSN 1512-1801

თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოპულარობის თვალსაზრისით პირველ ადგილზეა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აღნიშნული ფაკულტეტის ფარგლებში წარმოდგენილ რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა მიზნის, სწავლის შედეგების მიხედვით ითვალისწინებს სტუდენტებში დარგობრივ კომპეტენციებთან ერთად (ღრმა თეორიულ ცოდნასთან ერთად) ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის უნარები. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მეთოდოლოგიის, მიზნის მიღწევის გზების დანახვა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე პუნქტად არ არის გაწერილი.

ასევე არის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ფართო დარგობრივ ცოდნას, საბაზისო დარგობრივ ცოდნას და მთავარი აქცენტი კეთდება ზოგადი უნარების განვითარებაზე, მაგრამ არა მხოლოდ ზედა დონის სააზროვნო უნარებზე. თუმც სხვა პროგრამების შემთხვევებში ძირითადი ყურადღება ექცევა დარგობრივ, თეორიული ცოდნის განვითარებას და რიგ შემთხვევებში ზოგადი უნარები არც არის ნახსენები, ასევე არის გაურკვეველი პუნქტებიც, მაგალითად როცა პროგრამის მიზანი ითვალისწინებს შეფასების, ანალიტიკური აზროვნების განვითარებას და სწავლის შედეგები გაწერილია ქვედა დონის სააზროვნო უნარების დონეზე.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას, მიზნის მიღწევის გზებს, ცალკე პუნქტად გაწერილი არ არის და უმეტეს შემთხვევაში პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგებიც არ არის კონკრეტულად გაწერილი, რომ ჩანდეს მიზნის მიღწევის გზები. ამდენად მეთოდოლოგია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების უმრავლესობაში რჩება გაურკვეველი.

რაც შეეხება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოპულარობის თვალსაზრისით მეორე ადგილზეა, აღნიშნულ ფაკულტეტზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები კონკრეტულად არის ფორმულირებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და ითვალისწინებს ისეთ ზოგადი უნარების განვითარებას, როგორიცაა ანალიტიკური, ლოგიკური უნარები, პროექტების შემუშავების და სხვა უნარებს. სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაში მიზნებთან. მართალია პროგრამებში პირდაპირ არაფერია ნათქვამი მიზნის მიღწევის გზებზე, მეთოდოლოგიაზე, მაგრამ პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კომპეტენციებით დეტალურად არის გაწერილი, რაც იძლევა მათი ოპერაციონალიზაციის შესაძლებლობას და მიზნის მიღწევის გზების, მეთოდოლოგიის დანახვის საშუალებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პოპულარობის თვალსაზრისით პირველ ადგილზეა ბიზნესის ფაკულტეტი, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამები მიზნის დონეზე ზოგადი სახით არის გაწერილი და ითვალისწინებს მხოლოდ დარგობრივი უნარების განვითარებას, განსხვავებით სწავლის შედეგებისგან, რომლებიც ფორმულირებულია როგორც დარგობრივი ასევე ზოგადი კომპეტენციებით და ითვალისწინებს ზედა დონის

ISSN 1512-1801

სააზროვნო უნარებს. მეთოდოლოგია აღნიშნულ პროგრამებში არ არის გაწერილი და არც პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგებიდან არის შესაძლებელი მათი გაზომვა.
აქვე აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული პროგრამები ერთი და იმავე ფორმატით არის შემუშავებული და განსხვავება მათ შორის არის მხოლოდ სფეროების მითითებაში: ზოგადი მენეჯმენტის, საბანკო საფინანსო, ტურიზმის, სპორტის სფეროები.
ილიას უნივერსიტეტში შემდეგი ადგილი პოპულარობის თვალსაზრისით უკავია სპორტის ფაკულტეტს, სადაც წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები მიზნის დონეზე მართალია გაწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით, მაგრამ სწავლის შედეგები გაცილებით დეტალური და ყოვლისმომცველია. ასევე სტრუქტურულად ნაკლებ გამართულია, რადგან დარგობრივი კომპეტენციები შესაძლოა შეგვხვდეს ზოგადი კომპეტენციების ქვეპუნქტში და პირიქით. მეთოდოლოგია აქაც არ არის გაწერილი და პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგებიდანაც ნაკლებად ჩანს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგი პროგრამების შემთხვევებში ნამდვილად ჩანს ზედა დონის სააზროვნო უნარების მნიშვნელობის გაცნობიერება და დარგობრივი კომპეტენციების პარალელურად ხდება ისეთ ზოგად უნარებზე ხაზგასმა, როგორიცაა პრობლემის დასმა, გადაწყვეტის გზების ძიება, ანალიზის, სინთეზის, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომის უნარები. მაგრამ არის პროგრამები, რომლის შემთხვევებშიც საკმაოდ ზოგადად არის ჩამოყალიბებული პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მთავარი აქცენტი დარგობრივი ცოდნის განვითარებაზე კეთდება. ტრანსფერული უნარები რიგ შემთხვევებში არ არის ნახსენები, ხოლო ზოგ პროგრამაში ქვედა დონის უნარების განვითარების მნიშვნელობა არის დაკონკრეტებული.
მეთოდოლოგია, მიზნის მიღწევის გზები პროგრამებში არ არის გაწერილი, მიუხედავად ამისა რამდენიმე შემთხვევაში პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგებიდან გარკვეულწილად ჩანს სწავლების მეთოდები და შესაძლებელია მათი ოპერაციონალიზაცია, ხოლო უმეტეს შემთხვევაში მეთოდოლოგია ბუნდოვანია, რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად პრიორიტეტებს.
რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნვერსიტეტს აქაც გარკვეული პროგრამების შემთხვევაში ჩანს ზედა დონის სააზროვნო უნარების გაცნობიერება, ზოგან დეტალურად არის გაწერილი, ზოგან დაკონკრეტებას საჭიროებს. მიზნის მიღწევის გზები, მეთოდოლოგია უმეტესად ბუნდოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის (2007); ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ http://www.tsu.edu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/umaghlesi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf მოძიებული 20.12.2011

ISSN 1512-1801

3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (2008); ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი
4. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (2007); მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. თბილისი
5. საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში. ნაწილი პირველი (2008); რედ. ხულია გონზალესი, რობერტ ვაგენაარი. ქართული გამოცემის მთარგ. რედ. დალი ბაქრაძე თბილისი
6. საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში. ნაწილი მეორე (2008); რედ. ხულია გონზალესი, რობერტ ვაგენაარი. ქართული გამოცემის მთარგ. რედ. ლია კაჭარავა თბილისი
7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები http://www.nea.ge/Details.aspx?NewsID=260 მოძიებული 07.06.2011
8. 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის შედეგები. კონკურსი (განცხადებების რაოდენობა პროგრამების მიხედვით) http://www.naec.ge/index.php?id=703&lang=geo მოძიებული 07.06.2011
9. Fleming, T. The University and Democracy: Habermas, Adult Learning and Learning Society
10. Fleming, T. Habermas, democracy and civil society: Unearthing the social in transformation theory
11. Freire, P. (1973) Education for Critical Consciousness. New York: Continuum
12. *The Role of Education in the Formation of a Civil Society*. Russian Education and Society, vol. 50, no. 5, May 2008
13. Gjovalin, G. The Role of Higher Education in the Development of Civil society in Albania. Higher Education in Europe, Vol. XXIV, No. 4, 1999
14. Richard , W. P. (1990) The University and Critical Thinking
15. საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებებში http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/BACHALOR%20PROGRAM%20IN%20POLITIdCAL%20SCIENCE-2009.pdf მოძიებული 09.07.2011
16. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/Jurnalistika.pdf მოძიებული 09.07.2011
17. საბაკალავრო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/saertashorisoebi.pdf მოძიებული 09.07.2011
18. საბაკალავრო პროგრამა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/sazogadoebriv%20geografia_65641.pdf მოძიებული 09.07.2011
19. სოციალური სამუშაოს საბაკალავრო პროგრამა http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/Social%20Work%20BA%20(2009-10)j.pdf მოძიებული 09.07.2011

ISSN 1512-1801

20. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/sociologia_34273.pdf მოძიებული 09.07.2011
21. ფსიქოლოგიის ძირითადი საბაკალავრო პროგრამა http://www.tsu.edu.ge/data/file_db/faculty_social_political/fsiqologia.pdf მოძიებული 09.07.2011
22. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა http://www.tsu.edu.ge/data/file_db/economist_faculty/ekonomika-%20bakalavriati%20-%202010-2014.pdf მოძიებული 09.07.2011
23. ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამა http://www.tsu.edu.ge/data/file_db/economist_faculty/Biznes-marTva-2010-2014-web-1ivlisi.pdf მოძიებული 09.07.2011
24. ბიზნესის ფაკულტეტი http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=268 მოძიებული 08.07.2011
25. საბაკალავრო პროგრამები 2010-2011. ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) საბაკალავრო პ[როგრამა; საბანკო და საფინანსო საქმის საბაკალავრო პროგრამა; ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ბიზნესის ადმინისტრირება (სპორტის მენეჯმენტი); http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=268 მოძიებული 09.07.2011
26. სპორტის ფაკულტეტი http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=272 მოძიებული 09.07.2011
27. საბაკალავრო პროგრამები 2010-2011. გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობის მწვრთნელის საბაკალავრო პროგრამა http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=272 მოძიებული 09.07.2011

Article received: 2011-12-26